პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 250 (3227)

27 1966 წ. დეკემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ნაკრებიანი ოთხეული ახალი მწვრთნელი

მოსკოვი, 26 დეკემბერი (ტელეფონით). აქ ცნობილი გახდა, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნეს სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. იაკუშინი. რაც შეეხება მეორე მწვრთნელს, იაკუშინმა თქვა — მას მე თვითონ შევარჩევო.

ვინ არის საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონი?

მე-3 გვ.

ნანა ალექსანდრია — საერთაშორისო ოსტატი

როგორც ცნობილია, მოჭადრაკე ქალთა XXVI საკავშირო ჩემპიონატში ნანა ალექსანდრიამ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი და პრეტენდენტთა ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. რატომღაც ყველას გამორჩა, რომ ამ წარმატებასთან ერთად ნანამ საერთაშორისო ოსტატის წოდებაც დაიმსახურა.

საქმე ის არის, რომ ფიდე-ს შარშანდელ კონგრესზე მიღებულ იქნა საერთაშორისო საპატიო წოდებების მინიჭების ახალი სისტემა. ამ სისტემის მიხედვით, იმ მოჭადრაკე ქალს, რომელიც პრეტენდენტთა ტურნირში თამაშის უფლებას მოიხვეჭს, ავტომატურად ენიჭება საერთაშორისო ოსტატის წოდება.

საინტერესოა, რომ ფიდე-ს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა 17 წლის ქალიშვილი საერთაშორისო ოსტატი ხდება.

თ. გიორგაძე.

... სპორტიდან!

◆ ლენინგრადი, 26 დეკემბერი. აქ დამთავრდა მოციგურეთა ტრადიციული, ტურნირი, რომელშიც მოსაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიროვის, ჩელიაბინსკისა და სხვა ქალაქების უძლიერესი სპორტსმენები. ორდღიანი ასპარეზობის შედეგად მრავალკიდის ჯამში I ადგილზე გავიდა მოსკოველი ვ. კალინი — 183,39 ქულა. II და III ადგილებიც საბჭოთა კავშირის ნაკრების ვეტერანებმა — ა. ანტონოვმა და ე. მატუსევიჩმა დაისაკუთრეს. როგორც ჩანს, მომავალ სეზონშიც ჩვენი საციგურო სპორტის ავანგარდში „ძველი გვარდიის“ წარმომადგენლები იქნებიან.



გუშინწინ თბილისში გაიმართა ავტომობილისტთა შეჯიბრება „სეზონის დახურვის პრიზზე“.

სურათზე: სარბოლი მანქანები ასპარეზობისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.)

გუშინწინ თბილისის ასკ-ის სტადიონზე გაიმართა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ნორჩი დინამოელები და თბილისის განათლების განყოფილების აღსაზრდელები. ერთადერთი გოლი, რომელიც შეხვედრის მეორე ნახევარში გაიტანა ნორჩმა დინამოელმა თ. ჭანტურიამ, გადამწყვეტი აღმოჩნდა. თასი ნორჩი დინამოელის გუნდმა (მწვრთნელი ო. უშვერიძე) მოიპოვა.

სურათზე: ნორჩ დინამოელთა თაედამსხმელი თ. ჭანტურია (მარცხნივ) გარღვევაზე.

ფოტო ი. იუნაევისა.

ალექსანდრე მეტრეველი — „პირველი ჩოგანი“

როგორც მუდამ, სსრ კავშირის „ჩოგბურთის ფედერაციამ შეაჯამა წლევანდელი სეზონის შედეგები, რის საფუძველზეც შეადგინა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულები.

უძლიერეს ვაჟთა ათეულს მეთაურობს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ალექსანდრე მეტრეველი.

ამ სეზონში მეტრეველმა მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზა. მან მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი, საერთაშორისო სარბიელზე მოიპოვა არა ერთი შესანიშნავი წარმატება. მეტრეველის აქტივშია გამარჯვებები თავიანთი ქვეყნების პირველ ჩოგბურთელებთან — რალსტონთან (აშშ), ტეილორთან (ინგლისი) და, რაც მთავარია, უიმბლდონის წლევანდელ ტურნირში გამარჯვებულ სანტანასთან (ესპანეთი).

უძლიერესთა სიის მეორე სტრიქონი უჭირავს მოსკოველ ვიაჩესლავ ეგოროვს (სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი და ოქროს მედლის მფლობელი წყვილთა შეჯიბრებაში). ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თ. ლეიუსი (ტალინი) მხოლოდ მესამე ადგილზეა. შემდეგ მოდიან რ. სივოხინი, ს. ლიხაჩოვი, ა. ივანოვი, ი. პარმაკი...

სიაში მეათე ადგილზეა თბილისელი თ. კაკულია, რაც ახალგაზრდა ჩოგბურთელის უდავოდ დიდი წარმატებაა.

ქალებში № 1 ფავორიტია კიეველი გ. ბაკშევა, რომელმაც წლეულს ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა (გაიმარჯვა ერთეულებში, ქალთა და შერეულ წყვილებში), აგრეთვე, დიდ წარმატებებს მიაღწია სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში.

ათეულში მეორე ნომრად გავიდა მ. კული (მოსკოვი).

III და IV ადგილებზე არიან საქართველოს წარმომადგენლები ა. ივანოვა და რ. აბჟანდაძე. მეხუთეა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ა. დმიტრიევა, ხოლო მეექვსე — კვლავ საქართველოს ჩოგბურთელი ი. ერმოლოვა.

უძლიერესთა ათეულში პირველად შევიდნენ ახალგაზრდა მოსკოველი ჩოგბურთელები — გოგონათა შორის უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებული ო. მოროზოვა (VIII ადგილი) და ტ. ჩალკო (X). მაგრამ აი, სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი, ესტონელი ტ. სიმსონი ახლა მხოლოდ მეცხრეა.



თ. კაკულია — მეათე

საუკეთესოთა სიაში შევიდნენ თბილისელები ა. ივანოვა, რ. აბჟანდაძე და ი. ერმოლოვა

ახალი სპორტული წლის დიდი პროგრამა

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს სამსართულიან შენობაში, რომელიც მოსკოვის ერთ-ერთ უძველეს რაიონში მდებარეობს, ერთი ოთახი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კედლები სქემებით, დიაგრამებით, გეგმებითაა დაფარული, მაგიდებზე არიფმომეტრები აწყვია. ეს დაგეგმარების განყოფილებაა, — ჩვენი სპორტული მოძრაობის თავისებური შტაბი.

—ამ ბოლო ხანებში გაისის საკავშირო შეჯიბრებათა კალენდრის დაზუსტებაზე ვმუშაობდით, — განაცხადა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში დაგეგმარების განყოფილების გამგემ ვ. მაქსიმოვმა. — და აი, ყველაფერი დაზუსტდა. 1967 წლის სპორტული კალენდარი მიეძღვნა შემდეგ ძირითად ამოცანებს: სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გატარებას და ოლიმპიური წლისთვის მზადებას. გაისად ცენტრალური მოვლენა, რასაკვირველია, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაა, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს ეძღვნება. ამ ასპარეზობის დასკვნითი ნაწილი ივლის — აგვისტოში გაიმართება.

ამ გრანდიოზული სპორტული დღესასწაულის პროგრამაში პირველადაა შეტანილი შეჯიბრებები ათ ტექნიკურ სახეობაში (ავიასამოდელო, სპარაშუტო, საპლანერო, სათვითმფრინავო, რადიო, საზღვაო მრავალჭიდი და სხვ.), რომელთაც დოსაფის ცენტრალური კომიტეტი ატარებს. ფინალური შეჯიბრებები სსრ კავშირის ბევრ ქალაქში გაიმართება.

საგაზაფხულო სტარტებს წინ უსწრებს პროფკავშირების ზამთრის VI სპარტაკიადა. ეს იქნება ჩვენი სპორტსმენების ბოლო რეპეტიცია 1968 წლის გრენობლის ზამთრის ოლიმპიადისთვის. როგორც ზაფხულის, ისე ეს სპარტაკიადაც რამდენიმე ეტაპად ჩატარდება. ფინალური სტარტები დაიწყება თებერვლის მეორე ნახევარში. გორკში გამოვლენ მოთხილამურეები, მოციგურეები, ბიატლონისტები, ჭოკეისტები, ფიგურისტები და ტრამპლინიდან მხტომელები. ტერსკოლის რაიონში კი სამთო-მოთხილამურეები იასპარეზებენ. და ბოლოს, კიდევ ერთი სპარტაკიადის შესახებ, რომელსაც „სიმხნევე და ჯანმრთელობა“ ჰქვია. იგი მთელი წლის მანძილზე გასტანს და ყველაზე მასობრივი ასპარეზობა იქნება. სტარტზე გამოვლენ ყველა ასაკის ადამიანები, დაწყებული პიონერებიდან, პენსიონერებით დამთავრებული.

ახალი სპორტული წელი სპარტაკიადის წელია. ამიტომ სპორტის უმრავლეს სახეობაში ოქროს მედლები მოსკოვში გათამაშდება, მაგრამ საქართველოს სპორტის მოყვარულებიც ბევრ საინტერესო ასპარეზობას ნახავენ. უკვე იანვარში თბილისში დაიწყება მაგიდის ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ზონალური თამაშები. ქუთაისში შეიკრიბებიან ახალგაზრდობის სპორტული სკოლების უძლიერესი მოჭიდავეები (კლასიკური ჭიდაობა). ამ შეჯიბრების ფინალი აგვისტოში ჩატარდება თბილისში.

თებერვალში საქართველოში, სომხეთში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში დაიწყება ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს ეძღვნება. ფინალი გაიმართება მოსკოვში, მაისში. 23-26 თებერვალს თბილისში მოეწყობა თავისუფალ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი. 18 მარტიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაიწყება სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრება რუსულ შაშში. 13-19 აპრილს თბილისში გაიმართება ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის II ქვეჯგუფის პირველი ტური, მარტში — ხელბურთელთა ასპარეზობა კავკასიის თასზე, რომელშიც გამოვლენ თბილისის, ერევნის, ბაქოსა და როსტოვის გოგონები. 7-12 მაისს საქართველოს დედაქალაქი უმასპინძლებს „კომსომოლსკაია პრავდის“ თასზე მოჭიდავეებს. 14-17 დეკემბერს რუსთავში გაიმართება მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების შეჯიბრება აკრობატიკაში.

ამას გარდა, თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში გაიმართება საერთაშორისო ტურნირები, სამატჩო შეხვედრები და სხვა საინტერესო შეჯიბრებები.

ვ. ხარიძე.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲕᲘᲗ ᲛᲪᲮᲘᲪᲔᲐ

რუსთავი და სუმგაითი ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — საქართველოსა და აზერბაიჯანის ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქებია, როშელთა მშრომელები დიდი ხანია ერთმანეთს შრომისა და სპორტის ფრონტებზე ეჯიბრებიან. ახლახან აზერბაიჯანელი მეგობრები რუსთავს ეწვივნენ და ამხანაგური მატჩები გამართეს ძალოსნობასა და ფრენბურთში.

ძალოსანთა შეჯიბრებაში წარმატება ჯილად ხვდათ მასპინძლებს — 4:1.

გაცილებით უფრო დაძაბული გამოდგა ფრენბურთელ ქალთა ორთაბრძოლა. გადამწყვეტ პარტიაში გაიმარჯვეს რუსთავის სპორტსმენებმა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სუმგაითის მილაგლინავი ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის სანტექნიკოსი ვ. დანელიანი (მარცხნივ) და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ღუმელის მეფოლადის ხელშემწყობი ჯ. ლაღიაშვილი საუბრობენ შეჯიბრების შემდეგ; ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო და ტექსტი რ. გაბრიელიძისა.



რუსთავი. (ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠ.).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ... ᲡᲜᲠᲐᲤᲡᲐᲙᲔᲠᲔᲑᲨᲘ

— რამდენი ფიზკულტურელი ცხოვრობს ქარხანაში? — კითხვა დამიბოლოა ლილოს ქარხანა „საქსოფლმანქანის“ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტმა ნ. დიკუნოვმა. დაფიქრდა, მხრები უხერხულად შეათამაშა და... არ ვიცი, ამოღერღა.

ამ პასუხს რომ არ დავჯერდი, ქარხანა მეგობარია. მეც სწორედ ეს მინდოდა.

დიკუნოვმა პირველად მეორე უბნის ამწყობი-ზეინკალი ვ. გელაშვილი გამაცნო, მითხრა: უბნის ფიზორგიაო.

— 7 წელია აქ ვმუშაობ. უბანზე 40 კაცია. შეჯიბრებები გაინტერესებთ? ხანდახან ფრენბურთის წავითამაშებთ ხოლმე.

ფიზორგს ზეინკალი, მეორეთანრიგოსანი ძალოსანი ო. კარგარეთელი წამოეშველა:

— ადრე სხვაგან ვმუშაობდი. მეც ჩავები ფიზკულტურულ მეცადინეობაში. იქ ეს საქმე კარგად იყო დაყენებული და თანრიგი რომ მოვიპოვე, ახალგაზდების წვრთნა მომანდეს. სასიამოვნოც იყო და სასარგებლოც. აქ კი ფიზკულტურასა და სპორტს რატომღაც მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან. კარგი იქნებოდა, ძალოსნობის სექცია გვქონდეს. უსახყიდლოდ გავუძღვებოდი, მაგრამ სადაა შტანგა, ორბირთვები, საწონები, ფიცარნაგი, ოთახი? მსურველი კი ბევრია!

ახლა სხვებსაც მოვუსმინოთ.

ე. ჩიკინი (ამწყობი საამქროს შემდუღებელი): 18 წლისა ვარ. „დინამოს“ კრივის სექციაში ვვარჯიშობდი. დავეხსენი, — შორსაა. სპორტი კი მიყვარს. აი, ამ სახეობის სექციის შექმნაზე რომ იზრუნებდეს ჩვენთან ვინმე... თორემ ერთადერთი ღერძი განა გვეყოფა?

Შ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ (ამწყობი უბნის უფროსი): ჩვენთან საწარმოო ტანვარჯიშიც კი არ ტარდება.

დაბკვნა ერთია: ქარხანაში მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი საქმიანობა ჩამოვლილია. მსოლოდ ფრენბურთის სექცია მუშაობს. არ ეწყობა შეჯიბრებები, არ ტარდება საწარმოო ტანვარჯიში, ფიზკულტურელები თითებზე ჩამოსათვლელი ჰყავთ. არც ბაზებითა და ინვენტარით არიან განებივრებული. ფრენბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მოედანი, ღერძი, რამდენიმე სატანვარჯიშო ჭილობი, ფრენბურთის 2 ბურთი, ჭადრაკის 4 კომპლექტი, 2 — შაშისა და... სწრაფსაკერები.

აი, ფიზკულტურული კოლექტივის მთელი ავლადიდება.

სწორედ სწრაფსაკერებმა გვიამბეს ის, რისი თქმაც კაცთაგან არავინ ისურვა. დიკუნოვამდე ქარხანაში ფიზკულტურულ მუშაობას ამ საქმის სპეციალისტი თ. დოლიძე ხელმძღვანელობდა. ერთხანს მონდომება გამოუჩენია, აქტივი დაუარსებავს, დირექციაც (დირექტორი ი. ჟუჟუნაშვილი) შეუწყობია, მაგრამ ხელმძღვანელობისგან მხარდაჭერა ვერ მიუღია და თავადაც განელებია ენთუზიაზმი. რამდენიმე საქარხნო ტურნირი თუმცა გაეჭირვებინ, მაგრამ მაინც ჩაუტარებია. საზოგადოებრივი კადრების მოშზადებისთვის დოლიძეს დიდად არ შეუწუხებია თავი, თუმცა, სადაც ჯერ არს, ყველაფერი სათანადოდ გაუფორმებია. სწორედ მისმა „აღზრდილმა“ საზოგადოებრივმა მწვრთნელებმა გაიკვირვეს: რა ხემინარი, რის ხემინარებიო?!

ახლევ „მოუმზადებიათ“ ნიშნოსნებიც.

ერთი სიტყვით, დავრწმუნდით, რომ ამ საწარმოში ფიზკულტურა და სპორტი მივიწყებულია. ისიც არ იციან, ვინაა ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე (?!).

— მართლაც ვერ გვქონია კარგად ფიზკულტურული მუშაობის საქმე. არ ვიცოდი, ახლა კი ბიუროსგან ალბათ ხელმძღვანელობას, — გვითხრა ქარხნის პარტორგმა ვ. სუხიტაშვილმა, როცა მდგომარეობა გავაცანით.

თავის მართლება არც საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ა. ბეკალავს დაუწყია.

— სირცხვილია, რომ 700-კაციან კოლექტივში ეს ხდება. ჩვენც დამნაშავე ვართ. პროფკავშირის ბიუჯეტიდან ფიზკულტურისთვის მხოლოდ 200 მანეთია გამოყოფილი, საწარმოს ფონდიდან კი — არც ერთი კაპიკი.

მანვე გაგვანდო, რომ მათ ქარხანას, „საქნავთს“, მე-17 ავტოსატრანსპორტო კანტორას, რკინაბეტონის კონსტრუქციის ქარხანასა და სხვებს სტადიონი უნდა მოეწყოთ საერთო ძალით, ეს გარდაბნის რაიაღმასკომის გადაწყვეტილება იყო, მაგრამ დადგენილება ფარატინა ქაღალდად დარჩა, სპორტის მოყვარულები კი — უსტადიონოდ.

არ ვიცით, როგორია მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის დონე სხვა ზემოჩამოთვლილ საწარმოებში, მაგრამ ლილოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში რომ სავალალო მდგომარეობაა, ეს უკვე აღარავისთვისაა საიდუმლო.

საინტერესოა ქარხნის დირექტორის ე. წ. „დუმილის პოზიცია“, განა ფიზკულტურა და სპორტი ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა კულტმასობრივი ღონისძიებები? გამაჯანსაღებელი მუშაობაც ხომ ისევე საჭიროა. თუმცა ამბობენ, აქ თავს არც თანამშრომელთა კულტურული დასვენებისთვის იწუხებენო.

ქარხნის დირექციას, ალბათ, ჯერ არ წაუკითხავს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმაყლობის გზებს სახავს, თორემ დროულად მიხედავდა საქმეს.

Თ. ᲒᲣᲯᲘᲐ.

ᲘᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡᲐ...

— გამარჯვება ნუ მოგიშალოს, ჯუღელო, — ესალმებიან მეზობლები, როცა მოხუცი კოლმეურნე სოფელში გაივლის. ამ სიტყვებით თითქოს გარდასული დღეები ეხმიანებიან ბერიკაცს. მაშინაც ასე წელგამართული გამოჩნდებოდა გზაზე, მაშინაც ასე გულგახსნით უბრუნებდნენ სალამს. ახლა მუხლი და მკლავი ძველებურად აღარ ერჩის, მაგრამ გული და ახოვნება ისევ ჭაბუკური შემორჩა ოძისელ ფალავანს.

„ჯუღელი“ ჭაბუკობაში შეარქვეს გიორგი შერმადინს. იმხანად ქსნის ხეობაში მისი მომრევი ფალავანი არ იყო. ერთ კვირა-დღეს სოფელ ხვითიდან ჩამოსული მიშა ფალავანს დაეჯაბნა ოძისელები და დამარცხებულნი გიორგისთან მივარდნილან, სირცხვილისგან შენ უნდა გვიხსნა, მომავალ კვირას მიშა ფალავანს დაეპიდეო.

სამ საათს გაგრძელებულა რჩეულთა ჭიდილი. გამარჯვება ვერც ერთს უზეიმია და მშვიდობიანად გაზავებულან.

შვილებიც ფალავნებად დაზარდა გიორგიმ. რეზო პირველთანრიგოსანი სპორტსმენი იყო. ფიზკულტურის ინსტიტუტი დამთავრა და მშობლიურ სოფელში მუშაობდა მასწავლებლად. რომანიც პირველთანრიგოსანია, კოლმეურნეობაში შრომობს. თავისუფალ დროს თავადაც ვარჯიშობს და სხვებსაც ავარჯიშებს. ამ ცოტა ხნის წინათ რომანს ხელფასიც დაუნიშნეს და სოფლის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გაძღოლა მიანდეს. ახლა იგი ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთშიც ამეცადინებს სოფლის ახალგაზრდობას. ახალბედა მწვრთნელს მხარში ამოუდგა სოფლის სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ლალიაშვილი. მალე კომპლექსური მოედნის შენებლობაც წამოიწყეს.

— მითხარით რაში დაგეხმაროთ, ტექნიკას და მასალას მოგაშველებთ, დაწყებული საქმე დროზე დავამთავროთ, — უთხრა ახალგაზრდებს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ფეიქრიშვილმა.

პირველ დიდ წარმატებას ოძისელმა სპორტსმენებმა ამას წინათ „კოლმეურნის“ დუშეთის რაიონულ ასპარეზობაში მიაღწიეს. ქართულ ჭიდაობაში თავი ისახელეს რ. ჩარიგოგიშვილმა, ე. ოდიშვილმა, ო. ჩატაშვილმა და მათმა მწვრთნელმა რ. შერმადინმა. ეს ფალავნები რაიონის ნაკრებში შეიყვანეს და ამერიდან დიდ სარბიელზეც გაიტანეს შშობლიური სოფლის სახელს.

— ლენინგორის რაიონს ქართულ ჭიდაობაში ქსნის ხეობის პირველობის ჩატარება განუზრახავს და ჩვენც გვიწვევენ, — უთხრა ერთ საღამოს რომანმა მამას.

დიდად გაიხარა მოხუცმა: წაიყვანე, შვილო, აუცილებლად წაიყვანე ბიჭები, მეც წამოვალ, ქსნის ხეობის ფალავნობას როგორ არ დავეესწრებიო.

5 ოძისელი გამოდიოდა ამ პირველობაში და ხუთივემ ისახელა თავი — II საპრიზო ადგილზე გავიდნენ. ქსნის ხეობის პირველობა უკვე ტრადიციად იქცა და ოძისელები ახლა საგანგებოდ ემზადებიან მომავალი შეჯიბრებისთვის.

ქართული ჭიდაობის ეროვნული ტრადიციების აღდგენა ახარებს გიორგი შერმადინს. მომავალი თაობის ფიზიკური წრთობა სოფლის ძლიერების საწინდრად ეახლება ნაცად ფალავანს. ერთ დროს იგი თავად იცავდა ამ ძლიერებას, ახლა კი მისი შვილი და სოფლის ახალგაზრდობა აგრძელებს მამათა გზას.

— ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა, — უყვარს თქმა გიორგის.

Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.
(ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.).

სოფ. ოძისი,
დუშეთის რაიონი.

ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲠᲝᲜᲓᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ამ დღეებში № 1 სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურის დარბაზში ჩატარდა ინტერნატების მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთში საუკეთესონი იყვნენ კოჯრელები, ხოლო ფრენბურთში — ტურნირის მასპინძლები.

Შ. ᲒᲐᲮᲘᲚᲘᲐ.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ

დამთავრდა აფხაზეთის პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ვაჟთა და ქალთა 8-8 კოლექტივი. ვაჟებში ყველას აჯობებს გაგრის რაიონის წარმომადგენლებმა, ხოლო ქალებში — სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა.

Შ. ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

დამთავრდა ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების პირველობა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მანქანათმშენებელი და ელექტრომექანიკური ქარხნების კოლექტივები. გამარჯვება წილად ხვდათ მანქანათმშენებლებს.

• • •

ორ დღეს მიმდინარეობდა აჭარის პირველობა ცურვასა და ნიჩბოსნობაში. მოცურავეთა შორის წარმატება მოიპოვა „განთიადის“ კოლექტივმა. ნიჩბოსნობაში გაიმარჯვეს დინამოელებმა.

Ი. ᲒᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ

„საქჩაის“ სამტრედიის მექანიკური ქარხნის წითელ კუთხეში გაიმართა „განთიადის“ რაისაბჭოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. I ადგილი დაიკავეს მასპინძლებმა (მწვრთნელი მ. ტოროსაძე).

Თ. ᲡᲔᲚᲘᲕᲔᲡᲢᲠᲝᲕᲘ.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ

გაიმართა ნიგვზიანის საშუალო სკოლის პირველობა კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთელთა ტურნირში გაიმარჯვა X მეორე კლასის გუნდმა, ხოლო ფრენბურთში — VIII კლასის კოლექტივმა.

Მ. ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ. ᲡᲙᲝᲚᲐᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲐᲠᲗᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲔᲯᲘᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲣᲒᲕᲘᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲫᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲫᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ვ. ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ, ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲩᲛᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ. ᲓᲦᲔᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲖᲔᲛᲝᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲕᲘᲗ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ.

ᲮᲐᲚᲘᲩᲘᲗ ᲔᲬᲐᲤᲔᲑᲘᲐᲜ

„ᲓᲐᲙᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲗ — ᲓᲐᲩᲠᲩᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲗ“

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ 14 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 123-Ე ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲒᲒᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ვ. ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ, ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲩᲛᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ. ᲓᲦᲔᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲖᲔᲛᲝᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲕᲘᲗ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲐ.

?

სპორტში ცოტად თუ ბევრად გაცთვითცნობიერებულმა ადამიანმა (ორგანიზაციამ) კარგად უნდა იცოდეს, რას ნიშნავს შეჯიბრების წრიული სისტემა. მაგრამ, ვთქვათ, სპორტული ღონისძიების ჩამტარებელ ორგანიზაციას (ადამიანს) უმტყუნა მეხსიერებამ და გადაავიწყდა, რას გულისხმობს ეს სისტემა. ხომ შეიძლება ასეც მოხდეს? მაშინ შევახსენებთ, რომ წრიული სისტემა სპორტში ყველას ყველასთან შეხვედრას ნიშნავს.

ახლა რამდენიმე სიტყვა მეორე „ათასწლოვან ჭეშმარიტებაზე", რომელიც განვარტებას ზოგჯერ მაინც საჭიროებს თურმე (მკითხველთან წინასწარ ბოდიშს მოვიხდით, ვინაიდან ამ ჭეშმარიტების სიბრძნემ მას, შეესაძლოა, ღიმილი მოჰგვაროს).

კონკრეტულად, რა მიზანს ემსახურება სპორტული შეჯიბრება? მრავალ პასუხს შორის ერთ-ერთი ძირითადი ასეთია: უძლიერესთა გამოვლენას. ჰოდა, თუ ეს ასეა, მოდით და მოზარდ კალათბურთელთა სამატჩო შეხვედრის ორგანიზატორებს (ეს ტურნირი დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდა თბილისში) ვკითხოთ: ვინ გაიმარჯვა ჭაბუკთა ტურნირში? გვერწმუნეთ, პასუხს ვერ მივიღებთ. ვერ მივიღებთ იმიტომ, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა ზედმეტ ფუფუნებად მიიჩნიეს ცენტრალური მატჩის გამართვა.

ახლა საკითხს სხვა მხრიდან მივუდგეთ. ბოეწყო ტურნირი, რომელშიც 2 ადგილობრივი გუნდი (განათლების განყოფილებისა და ნორჩი დინამოელი) და ორიც მოწვეული კოლექტივი (ლენინგრადისა და ვოლგოგრადისა) მონაწილეობდა. შეჯიბრების მასშტაბი არ იყო დიდი, მაგრამ რაღაც გარკვეულ ხარჯს მაინც გულისხმობდა. ჩამოვიდნენ, ითამაშეს და უკან გაემგზავრნენ ლენინგრადისა და ვოლგოგრადის ნორჩი კალათბურთელები, შედგა მსაჯთა კოლეგია, მოვიდა მაყურებელი. ...და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ გამარჯვებული არ გამოვლენილიყო!

სპორტულ ღონისძიებათა ეთიკის ენაზე ამას დანაშაულებრივი გულგრილობა ეწოდება. ესაა მონაწილეთა, მწვრთნელების, მსაჯების, მაყურებლების აბუჩად აგდება.

ჩვენ ოდნავადაც არ გვაინტერესებს მიზეზი, რის გამოც არ შედგა განათლების განყოფილების გუნდისა და ნორჩი დინამოელების ბოლო მატჩი. არ გვაინტერესებს იმიტომ, რომ მას არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე ანგარიშგასაწევი მიზეზი. ფაქტი ფაქტია და პასუხი ვილაცამ უნდა აგოს.

მსგავსი ინციდენტი ჩვენს პრაქტიკაში გამონაკლისი რომ ყოფილიყო, შესაძლოა მასზე უურადღება არც გაგვემახვილებინა, მაგრამ ბოლო დროს ასეთი უცნაური ტენდენცია, სამწუხაროდ, სისტემად იქცა.

აი, კიდევ ერთი დაუბოლოებელი ტურნირი, რომელიც უკვე ქართული კალათბურთის ავტორიტეტსა და თავმოყვარეობას ლახავს. ესაა საქართველოს პირველობა ვაუთა გუნდებს შორის, ანუ ჩვენი შინაური საქმიანობის ყველაზე პასუხსაგები უბანი.

ის, რომ საქართველო კალათბურთის რესპუბლიკაა, რომ ქართველ ხალხში სპორტის ეს სახეობა უდიდესი სიყვარულით სარგებლობს და რომ ჩვენი გუნდების წარმატებები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე ძალზე დიდია, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ რესპუბლიკას არ ჰყავს 1966 წლის ვაუთა ჩემპიონი. აი, ეს კი უდიდესი დანაშაულია!

წლევანდელი ჩემპიონატი ზაფხულში, ქუთაისში ჩატარდა. მაგრამ ვაი ასეთ ჩატარებას: სატურნირო ცხრილში არ შეიტანა 2 მთავარი გრაფა. რა თქმა უნდა, იყო ცხარე კამათი. დეპეშები მიმოდიოდნენ ქუთაისიდან თბილისისკენ და თბილისიდან — ქუთაისისკენ. მერე რა გამოვიდა: საკანცელარიო დავამ ქუთაისისა და თბილისის უნივერსიტეტის ხუთ-ხუთ კალათბურთელს ვერაფრით ვერ მოუყარა თავი მოედანზე.

რედაქციამ უამრავი სიგნალი და წერილი მიიღო ამ დაუმთავრებელი ჩემპიონატის შესახებ, მაგრამ პასუხი ვერც ერთს ვერ გასცა, ვერ გასცა იმიტომ, რომ თვითონ ელოდა კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის გადაწყვეტილებას. წელიწადი მიიწურა, საკითხი კი კვლავ ღიადაა დარჩენილი.

გვერწმუნეთ, დანაშაულს ჩავდივართ, სხვა რომ არა, ჯერ მარტო ქართული სპორტის წინაშე. გავა წლები და კალათბურთის ისტორიაში 1966 წლის გასწვრივ დიდი კითხვის ნიშანი დაიწერება, ნუთუ ესოდენ ძნელი დასადგენია საქართველოს ჩემპიონის ვინაობა?

ნ. გუგუშვილი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

დუბლიორთა საგოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	36	21	7	8	62—37	49
„დინამო" (თბილისი)	36	17	12	7	55—35	46
„დინამო" (მოსკოვი)	36	15	15	6	47—28	45
„დინამო" (მინსკი)	36	16	11	9	48—39	43
ცსკა	36	16	11	9	41—34	43
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	36	15	10	11	55—46	40
„არარატი" (ერევანი)	36	14	12	10	57—49	40
„კაირატი" (ალმა-ათა)	36	13	12	11	44—46	38
„ტორპედო" (მოსკოვი)	36	12	13	11	36—37	37
„შახტიორი" (დონეცკი)	36	10	13	13	42—42	33
„ნეფტიანიკი" (ბაკო)	36	13	7	16	40—46	33
ასკ (როსტოვი)	36	9	15	12	40—46	33
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	36	9	14	13	39—37	32
„ტორპედო" (ქუთაისი)	36	9	13	14	36—40	31
ასკ (ოდესა)	36	9	12	15	27—38	30
„არ. სოვეტოვი" (ყუბიშევი)	36	10	10	16	36—53	30
„ჩერნოზემორეცი" (ოდესა)	36	8	12	16	30—48	28
„ზენიტი" (ლენინგრადი)	36	8	11	17	40—57	27
„სპარტაკი" (მოსკოვი)	36	11	4	21	45—62	26

შენიშვნა: საორგანიზაციო შეფერხებათა გამო „ა" კლასის I ჯგუფის სათადარიგო შემადგენლობათა ტურნირი დამთავრდა გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე სსრ კავშირის ჩემპიონატი. თანაც, 2 მატჩი არ შედგა გუნდების გამოუცხადებლობის გამო. ალმა-ათის „კაირატს" წაგება ჩაეთვალა კიევის „დინამოსთან", ხოლო მოსკოვის „დინამოს" — ტაშკენტის „პახტაკორთან".

საჭიროა გაღამჭრელი ზომები

თბილისის სპორტკავშირის შენობაში გაიმართა ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის მორიგი პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის კოლექტივებში მომუშავე მწვრთნელებმა, მსაჯებმა, ფეხბურთის აქტივმა. მწვრთნელთა საბჭოს და მსაჯთა კოლეგიის მუშაობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს ს. შუდრამ და ო. ეორდანიამ.

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა — თ. კუბლაშვილმა, ფ. ჭელიძემ, ო. ალავიძემ, ჯ. უშვერიძემ, ვ. შავდიამ, ვ. ჯინჭარაძემ, ი. ბოჭორაძემ ყურადღება გაამახვილეს იმ საკითხებზე, რომლებიც თბილისში ფეხბურთის განვითარებას ამუხრუჭებენ. პლენუმის წევრებმა ილაპარაკეს სპორტული მოედნების სიმცირეზე და არსებულ მოედანთა ცუდ მდგომარეობაზე. დასახელებულ იქნა მაუდ-კამვოლის კომბინატის, სტუდქალაქის, „ლოკომოტივის" მოედნები, „დინამოს" სათადარიგო მინდორი, რომლებიც სერიოზულ შეკეთებას საჭიროებენ. როგორც გამოირკვა, მაუდ-კამვოლის კომბინატისა და სტუდქალაქის სტადიონებზე არა თუ შეჯიბრების, სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშის ჩატარებაც კი შეუძლებელი ყოფილა.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე გ. მაჭავარიანი. მან აღნიშნა, რომ საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება, რათა აღდგეს თბილისის ფეხბურთის ძველი და სასარგებლო ტრადიციები, რომ საჭიროა მოედნების მშენებლობა და ფეხბურთელებისთვის კეთილმოწყობილი ბაზების შექმნა.

ი. ბოჭორაძე,
თბილისის სპორტკავშირის ინსტრუქტორი.

„ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ" ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

თბილისში დამთავრდა „შრომითი რეზერვების" ფეხბურთელთა საქალაქო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფტექნიკურ სასწავლებელთა 7 კოლექტივი და ცენტრალური სფეხბურთო სექციის გუნდი. წრიული სისტემით მოასპარეზენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველ ჯგუფში უძლიერესნი აღმოჩნდნენ 49-ე სასწავლებლის სპორტსმენები, ხოლო მეორეში — 26-ე სასწავლებლისა.

გამარჯვებულთა ფინალურმა მატჩმა გამოაკლინა ჩემპიონი: იგი გახდა 49-ე სასწავლებლის (ფიზიკოზრდის მასწავლებელი ვ. ზამთარაძე) გუნდი, რომელმაც გადამწყვეტი მატჩი მოიგო ანგარიშით 3:2.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲔᲑᲡ — ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ!

ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲘᲓᲝᲒᲔᲑᲘᲡᲐᲡ

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის ტექნიკური სახეობების შეტანილ მერე ამ უბანზე მუშაობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა — უფრო ხშირად იმართება საქალაქო, რესპუბლიკური და საკავშირო ტურნირები, მეტი ყურადღება ეთმობა სპორტინვენტარის სრულყოფასა და სპორტსმენთა დოსტატებას, რასაც რეგულარული წვრთნა და ხშირი სამატჩო შეხვედრები განაპირობებს.

საყოფიერად ჩაიარა სპარტაკიადის წინა წელმაც. მასთან გამოსამშვიდობებლად დოსაფის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და ავტომოტოსპორტის ფედერაციამ გუშინწინ თბილისში გამართეს ტურნირი „ხეზონის დახურვის პრიზზე", რომელშიც რესპუბლიკური ავტო-მოტოკლუბის, თბილისის მაუბუჭი ტაჭვების 1-ლი, მე-2 და მე-3 კანტორების გუნდები, ავრეთვე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრები კოლექტივები მოხალისეობდნენ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ავტომობილისტთა მატჩები ადრეც დაძაბული იყო ხოლმე. ამ გაზაფხულს მაყურებელმა ნახა ერევანელი ვ. ზარგარიანის, ბაქოელი ე. მირზოიანის, თბილისელების ო. გარსევანიშვილის, შ. მამრიკიშვილის, კ. ცალქალამანიძის, თ. ზახაროვის, ი. პოლტორაცკისა და სხვათა საინტერესო მოვენტგებით აღსავსე დუელი და ამიტომ ახლა, ხეზონის დახურვის პრიზზე, ეაკე — საბურთალოს გზაზე გაბართული შეჯიბრების საკვერად ბევრმა თბილისელმა მოიყარა თავი.

შეჯიბრების ორგანიზატორებს ვერ დავემდურებით. თუ საგაზაფხულო ასპარეზობა მაინდამაინც დიდი წესრიგით არ გამოირჩეოდა და ჭაბუკების პროსპექტზე კინალამ უბედური შემთხვევაც მოხდა, ახლა, ალბათ მაშინდელი გაკვეთილი გაითვალისწინეს და სახიფათო ადგილები ყველგან თოკებით გამოყვეს. თუმცა, სამწუხაროდ, ზოგიერთი თავშეუკავებელი მაყურებელი და ბავშვები ტრასაზე ისეთ დროს გადარბოდნენ, როცა რბოლა მიმდინარეობდა, მილიციის მუშაკები კი ამას ყურადღებას არ აქცევდნენ.

მაყურებელი მთელს ტრასაზე საკმარი რაოდენობით იყო და უჩიგო არ იქნებოდა ტურნირის ორგანიზატორებს ტრასის რადიოფიცირებაზეც რომ ეზრუნათ.

ახლა შეჯიბრების შესახებ.

ტურნირი „ა" ფორმულის („ვოლგისა" და „მოსკვიჩის" კლასი) მანქანებმა დაიწყეს. სტარტზე 12 ავტომობილი მოეწყო. პირველ ეტაპზე მათ 17 წრე უნდა შემოვლოთ. თავიდანვე დაწინაურდა თბილისის მე-3 ავტოსატრანსპორტო კანტორის გუნდის წევრი გ. თაური. მას კვალში მიჰყვებოდნენ მ. ლოგინოვი (მე-2 კანტორა), ე. მირზოიანი (ბაკო), ვ. ბერბიჭაშვილი (1-ლი კანტორა) და ო. გარსევანიშვილი (მე-2 კანტორა).

მესამე წრეზე განლაგება ერთგვარად შეიცვალა. რბოლას ლოგინოვი ჩაუდგა სათავეში, ხოლო ბერბიჭაშვილს გარსევანიშვილმა გაუსწრო. ლოგინოვმა პოზიცია დიდხანს ვერ შეინარჩუნა. მეხუთე წრის ერთ-ერთ მოსახვევში მისმა მანქანამ წონასწორობა დაკარგა და... გაჩერდა. ლიდერის წაფორხილებამ თვაურიც შეაფერხა, რამაც მირზოიანს საშუალება მისცა წინ გაჭრილიყო. ლოგინოვს ჩაუქროლეს თვაურმაც, გარსევანიშვილმა, ბერბიჭაშვილმა...

მარჯხმა ფარ-ხმალი როდი დააყრეინა ლიდერს — ერთი წრის მერე ბერბიჭაშვილს გაასწრო და სხვების „დაჭერა" მოინდომა, მაგრამ პირიქით მოხდა. მე-8 წრეზე ისევ ჩამორჩა. დარჩენილი 9 წრე ხუთვეულმა ასეთი თანმიმდევრობით იარა: მირზოიანი, თვაური, გარსევანიშვილი, ბერბიჭაშვილი, ლოგინოვი.

„რბოლადხილები" შესასვენებლად წავიდნენ. სტარტზე ახლა მოგროვდნენ სარბოლო მანქანები, რომლებსაც ჯერ 9 წრე უნდა შემოევლოთ, მერე კი ფინალში ეასპარეზათ. აქ მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. თბილისელი სპორტსმენები ვ. გლურჯიძე, თ. ზახაროვი, ა. ტაბიძე და ი. ვარდპატრიკოვი თავიდანვე დაწინაურდნენ და ცდა ასეთივე თანმიმდევრობით დაამთავრეს.

დადგა გადამწყვეტი ბრძოლის ჟამი — დაიწყო მეორე, ბოლო ცდა. „ვოლგებს" ახლა 16 წრეზე უნდა ეკროლათ. მირზოიანმა და გარსევანიშვილმა სტარტიდანვე გაასწრეს სხვებს და ფინიშთანაც პირველნი მივიდნენ. III ადგილისთვის ერთ ხანს თვგამოდებით იბრძოდა ბერბიჭაშვილი, მაგრამ მესამე წრეზე იგი ლოგინოვმა ჩამოიტოვა. არ გაუმართლა თვაურს. მეცხრე წრეზე, როცა იგი მეხუთე მიჭროდა, ჭავჭავაძის პროსპექტის ზედა მოსახვევში მისი მანქანა ადგილზე დატრიალდა — ძრავა გამოირთო. შეჯიბრების წესის თანახმად, მძღოლს მხოლოდ მექანიკოსი შეიძლება დაეხმაროს. ვიდრე ეს ორი კაცი ძრავას შეაკეთებდა, მეტოქენი წრეს წრეზე ამთავრებდნენ. თვაურმა 3 წრე გამოტოვა, ცდაში ბოლო ადგილი მიეკუთვნა და საპრიზო სამეულს მიღმა (VI ადგილი) დარჩა.

I ადგილი დაიკავა ბაქოელმა სპორტის ოსტატმა ე. მირზოიანმა, რომელმაც ქულათა მაქსიმუმი (50) დააგროვა. II ადგილზეა ო. გარსევანიშვილი — 41 ქულა, III — მ. ლოგინოვი — 35 ქულა.

სარბოლო მანქანებით შეჯიბრების მეორე ცდაზე ისევ გლურჯიძემ და ზახაროვმა ისახელეს თავი — პირველიდან ბოლო წრემდე ლიდერობდნენ და ფინიშიც პირველებმა გადაკვეთეს. გლურჯიძემ საბოლოოდ 50 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიპაკუთრა, ზახაროვი მეორე იყო — 44 ქულა. ტაბიძეს III ადგილი „წაართვა" ვარდპატრიკოვმა.

რაც შეეხება გუნდურ ტურნირს, ადგილები ასე განაწილდა: ქალაქები — 1. თბილისის II გუნდი — 156 ქულა, 2. თბილისის I გუნდი — 140,3. ბაქოს კოლექტივი —98; ფიზკულტურის კოლექტივები — 1. თბილისის მაუბუჭი ტაქსების მე-2 კანტორის I გუნდი, 2. მე-3 კანტორის კოლექტივი, 3. მე-2 კანტორის III გუნდი.

„ა" ფორმულის მანქანებით შეჯიბრებაში წაგების მიუხედავად, ჩვენს ავტომობილისტებს ყველა შანსი აქვთ, რომ ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებულთა სამეულში დაიმკვიდრონ ადგილი. სპარტაკიადის ფინალისთვის საჭიროა მხოლოდ ბრძოლისუნარიანი მანქანები და სპორტსმენთა სათანადო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. იმედია ამ საქმეს კარგად გაართმევენ თავს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბ. შულცი.

ო. ბელაშვილი.

• • •

სურათზე: ვ. გლურჯიძე (მარცხნივ) და ე. მირზოიანი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

25 დეკემბერს თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა თბილისელ და ინდოელ ოსტატ მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩის I ტური. მ. აარონმა მოუგო რ. ჯინჯიხაშვილს, ხოლო რ. მადონ — ი. ჩიქოვანის პარტია ყაიმით დამთავრდა.

გუშინ გაიმართა II ტური. მადონმა დაამარცხა ჩიქოვანი, ხოლო ჯინჯიხაშვილ — აარონის პარტია გადაიდო ქართველი მოჭადრაკის უპირატესობით.

სურათებზე: ინდოელი და ქართველი მოჭადრაკეების შეჯიბრება.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგნოზები და სინამდვილე

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის კენჭისყრამ პროგნოზების მოყვარულთა წინაშე რთული ამოცანა დააყენა. ევროპის სპორტული პრესა, რომელსაც ძალზე ახასიათებს გადამეტებული პროგნოზირება, ამჯერად 1966-67 წლების ევროპის საკლუბო გუნდების ჩემპიონის ვინაობის დადგენას მეტი სიფრთხილით ეკიდება. კომენტატორთა ეს გასაგერი გასაგებია, ვინაიდან მეოთხედფინალის კენჭისყრამ ერთმანეთს დაუპირისპირა ისეთი თანაბარძალოვანი გუნდები, როგორიც არიან მილანის „ინტერი“ და მადრიდის „რეალი“, პრაღის „დუკლა“ და ამსტერდამის „აიაქსი“, გლაზგოს „სელტიკი“ და ნოვი სადის „ვოივოდინა“. ჟურნალისტების აზრი ერთნაირია მხოლოდ ერთი წყვილის (სოფიას ცსკა — ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდი“) შეფასებისას: ნახევარფინალში ბულგარელების გასვლა არავის ეეჭვს არ იწვევს.

ამ დღეებში მილანის „ინტერის“ მწვრთნელმა ე. ერერამ ჟურნალისტებს განუცხადა: წლეულს ბედი არ გვწყალობს, ერთიმეორეზე ძლიერი მეტოქენი ვვხვდებიანო. იტალიური სპორტული პრესა სავსეა პროგნოზებით „ინტერისა“ და მადრიდის „რეალის“ მომავალი შერკინების თაობაზე. საინტერესოა, რომ იტალიელი კომენტატორების უმრავლესობა დარწმუნებულია „ინტერის“ გამარჯვებაში. მართლაც, მეთექვსმეტედფინალში და მერვედფინალში „ინტერმა“ საუცხოოდ ითამაშა. კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ბუდაპეშტის „ვაშაშთან“ ორივე მატჩში „ინტერის“ უპირატესობა აშკარა იყო. ბუდაპეშტში საპასუხო შეხვედრის წინ „ვაშაშის“ მოთამაშეებმა კ. მესეიმ, ა. მატესმა, ლ. პუშკაშმა, ლ. ფიშტერმა და სხვებმა განაცხადეს: „ინტერს“ 2:0 ან 3:1 მოვუგებთო. ყველაზე „მორიდებული“ გამოდგა ი. ფარკაში, რომელმაც თქვა: „ინტერს“ ერთი გოლით დავამარცხებთო.

არც ერთი ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა: ბუდაპეშტში ერერას გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ვირტუოზების კოლექტივია. „ინტერის“ ამ წარმატების შემდეგ „ჯადოქრად“ მონათლულ ე. ერერას სპორტულმა ჟურნალისტებმა ტიტული შეუცვალეს და ახლა „ვენერალისიმუს ერერას“ უწოდებენ. თუმცა „ინტერი“ ამჟამად თავის საუკეთესო ფორმაში არ არის, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ერთი თვის შემდეგ გუნდი უკვე ითამაშებს.

იტალიელი სპორტული ჟურნალისტების ოპტიმიზმის მიუხედავად, „გენერალისიმუსს“ საფიქრელი ბევრი აქვს — მისი გუნდის წინააღმდეგ ხომ საპატიო პრიზის ექვსგზის მფლობელი გამოვა!

სწორედ მადრიდის „რეალმა“ გამოთიშა შარშანდელი გათამაშებიდან მილანის „ინტერი“, ახლა კი „რეალი“ უფრო ძლიერად თამაშობს. ეს როდი ნიშნავს, რომ „რეალი“ დი სტეფანოს, სანტამარიასა და პუშკაშის დროინდელი „რეალია“, მაგრამ სასტიკად შეცდა ის, ვინც „რეალი“ რიგით გუნდად მიიჩნია; მადრიდელებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვეს და წლეულსაც ქვეყნის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერები არიან. მათი თამაშის დიდოსტატური სტილი გუნდიდან ვარსკვლავთა წასვლის შემდეგ ახალგაზრდა მოთამაშეთა შესაძლებლობებთან შეფარდებით შეიცვალა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა „რეალი“ შეარცხეს. პირიქით, ევროპის საკლუბო ჩემპიონი უაღრესად ტექნიკური და სწრაფი გუნდია, რომელიც ეფექტურად იყენებს 4—2—4 სისტემას. ამისთვის მას ბევრი საუკეთესო მოთამაშე ჰყავს. კარში ერნანირნი არიან ა. ბეტანკორი და ხ. არაკისტაინი. დაცვაში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მცველ მ. სანჩისთან ერთად თამაშობს 22 წლის „სტოპერი“ ლ. დე ფილიპე, რომელიც არქიტექტურულ ფაკულტეტზე სწავლობს და გუნდში ერთადერთი მოყვარული სპორტსმენია. ამის მიუხედავად, დე ფილიპეს უკვე ადარებენ ლეგენდარულ სანტამარიას. ნახევარდაცვის გული და სულია 21 წლის ხ. პინი, რომელზეც „რეალის“ და ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს. 22 წლის ცენტრალურ თავდამსხმელზე რ. გროსოზე გუნდის ვეტერანმა ფ. პუშკაშმა თქვა: ცოტა ხანში მისგან ახალი და სტეფანო დადგებაო. საინტერესოა, რომ გროსო, რომელიც პროვინციიდან ჩამოიყვანეს, ყოველი თამაშის წინ გასახდელში ლოცულობს. ძნელია ითქვას, რამდენად ეხმარება მას ეს რიტუალი, მაგრამ მცველებს დღითიდღე უჭირთ ამ სწრაფ, შეუპოვარ თავდამსხმელთან გამკლავება. კვლავ ოსტატურად თამაშობენ ი. ზოკო, ხ. პაჩინი, ფ. ჰენტო, ა. ამანსიო, ხ. ველასკესი. ასე რომ, „ინტერის“ წინაშე ძნელი ამოცანა დგას — მადრიდის „რეალი“ ძალიან ძლიერი კოლექტივია.

ფეხბურთის მოყვარულთა იმედები ვერ გაამართლა ესპანეთის ჩემპიონმა — მადრიდის „ატლეტიკომ“, რომელმაც გასულ ოთხშაბათს გუნდის პრესტიჟისთვის მძიმე მარცხი იწვნია იუგოსლავიის ჩემპიონთან საკუთარ მინდორზე და გათამაშებას გამოეთიშა. ნოვი სადის „ვოივოდინა“ მებრძოლი გუნდია. მისი ფეხბურთელები სწრაფად მოქმედებენ და ათლეტურ თამაშს ერ ერიდებიან. შესანიშნავი ოსტატია მეკარე ი. პანტელიჩი. „ვოივოდინა“ ასევე მებრძოლი სტილის წარმომადგენელს — გლაზგოს „სელტიკს“ ხვდება და შეხვედრა უაღრესად საინტერესო უნდა იყოს. თუ კომენტატორები ადრე „სელტიკს“ მცირე უპირატესობას ანიჭებდნენ, ახლა, მათი აზრით, იუგოსლავიის ჩემპიონს კიდევ უფრო ნაკლები შანსები აქვს, ვინაიდან „ვოივოდინას“ უძლიერესმა მოთამაშემ ს. ტაკაჩმა გუნდი მიატოვა და საფრანგეთის „რენში“ ითამაშებს. სხვათა შორის, საინტერესოა ის გარემოება, რომ შოტლანდიის ჩემპიონს ზოგიერთი კომენტატორი (უმეტესად ბრიტანელი) საბოლოო გამარჯვებასაც კი უწინასწარმეტყველებს. ეს მოსაზრება საფუძველს არ არის მოკლებული, მაგრამ ჯერჯერობით „სელტიკი“ ამ გათამაშებაში ძლიერ მეტოქეს არ შეხვედრია და ამიტომ მისი შეფასება ერთობ ძნელია.



ე. ერერა

ამსტერდამის „აიაქსს“ ფეხბურთის სპეციალისტები გათამაშების დასაწყისში ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ ჰოლანდიელთა ტრიუმფალურმა გამარჯვებამ ინგლისის ჩემპიონ „ლივერპულთან“ აზრი შეაცვლევინა მათ. ჰოლანდიის ჩემპიონს ნახევარფინალში იოლ გასვლასაც კი უწინასწარმეტყველებენ. მართლაც, „აიაქსის“ წარმატება შემთხვევითი არ გახლავთ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩემპიონატის 15 ტურში „აიაქსის“ ფეხბურთელებმა 57 გოლი გაიტანეს! გუნდის უძლიერესი რგოლია თავდასხმა, სადაც გამოირჩევა 19 წლის ი. კრუიფი. „ლივერპულთან“ „აიაქსის“ შეხვედრების შემდეგ ინგლისური გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ ამ გუნდის სხვა თავდასხმელები (დე ვულფი, ნენინგა და სვარტი) ძალიან სახიფათონი არიან.

ამსტერდამელთა მეტოქე — პრაღის „დუკლა“ წლეულს შარშანდელზე უკეთ გამოიყურება. თავდასხმის ხაზს შეემატა ცნობილი ჩეხი ფეხბურთელი ი. მრაზი. ი. ნედოროსტი, ი. მრაზი და ა. ვასენოვსკი საშიშ ძალას წარმოადგენენ. „დუკლას“ რიგებში კვლავ თამაშობს ცნობილი ი. მასოპუსტი.

ნახევარფინალში 4 გუნდი უნდა გავიდეს, 4 დანარჩენი გათამაშებას გამოეთიშება. თუმცა, პროგნოზების მოყვარულმა კომენტატორებმა, რთული სიტუაციის მიუხედავად, ფავორიტები მაინც დაასახელეს: („ინტერი“, „რეალი“, „სელტიკი“), ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ მეტოქეთა შეხვედრებს ვუცადოთ.

ა. რონდელი.

ფეხბურთი — საკუთარი ინფორმაცია

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისი: ლიდერთა შეხვედრა

უოგბის დღესასწაულთან დაკავშირებით, შაბათს ინგლისის ჩემპიონატის მხოლოდ ორი შეხვედრა გაიმართა. გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — ლონდონის „ჩელსი“ საკუთარ მინდორზე შეხვდა ქვეყნის ჩემპიონს — „ლივერპულს“. „ჩელსი“: ბონეტი, კერკაპი, მაკ-კრიდი, ჰოლინსი, ჰინტონი, ჰარისი, ბოილი, ბოლდუინი, ჰეიტლი, კუკი, ტემპლინგი; „ლივერპული“: ლოურენსი, ლოულერი, სტივენსონი, სმითი, იეტსი, მილნი, კლაჰანი, სტრონგი, სენტ-ჯონი, ჰანტი, ტომპსონი.

თუმცა ტერიტორიული უპირატესობა შესვენებამდე მასპინძელთა მხარეზე იყო, ტაიმი ჩემპიონმა მოიგო — 1:0 (გოლი საკუთარ კარში გაიტანა ჰინტონმა), მეორე ტაიმში ლონდონელმა ბოილმა ანგარიში გაქცითა, მაგრამ სტრონგმა მეორედ აიღო მასპინძელთა კარი — 2:1.

ნიუკასლში ადგილობრივმა „ნიუკასლ იუნაიტედმა“ წააგო „ლიდს იუნაიტედთან“ — 1:2.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„მანჩესტერ იუნაიტ“.	21	46:31	30
„ლივერპული“	21	41:27	28
„ჩელსი“	22	44:29	28

იტალია: საუკეთესო სნაიპერია ჰამრინი

მილანის „სან-სიროს“ მინდორზე ქვეყნის ჩემპიონი — ადგილობრივი „ინტერნაციონალე“ შაბათს შეხვდა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს — „კალიარის“. ანგარიში გახსნა სტუმართა თავდამსხმელმა რივამ, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში მილანელმა ჟარმა საპასუხო გოლი გაიტანა. და აი, 76-ე წუთზე, „კალიარის“ მცველთა უხეში შეცდომის შემდეგ კაპელინიმ „ინტერს“ გამარჯვება მოუტანა — 2:1.

„ინტერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: სარტი, „ბურგნიჩი, ფაკეტი, ბიჩიკლი, გუარნერი, პიკი, ჯაირი, ჯაპელინი, დომენგინი, სუარესი, კორსო.

ტურინში ადგილობრივი „იუვენტუსი“ შეხვდა „მილანს“. 33-ე წუთზე მასპინძელთა სტოპერმა კასტანომ ბურთი საკუთარ კარში მოათავსა და მხოლოდ შესვენების შემდეგ მოახერხეს მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება (დე პაოლი) — 1:1.

ფერარაში „ფიორენტინამ“ დაამარცხა ადგილობრივი „სპალი“ — 2:1. ფლორენციელთა 1 გოლის ავტორია შვეიცელი კ. ჰამრინი, რომელიც 10 ბურთით სათავეში ჩაუდგა ჩემპიონატის სნაიპერებს. ს. მაცოლა („ინტერი“) 9 გოლით II ადგილზეა.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბრეშია“ — „ლეკო“ 2:0, „ლანეროსი“ — „ვენეცია“ 2:1, „მანტოვა“ — „ლაციო“ 0:0, „რომა“ — „ტორინო“ 4:0, „ნაპოლი“ — „ფოჯა“ 3:2, „ატალანტა“ — „ბოლონია“ 1:0.

აი, ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ინტერნაციონალე“	13	25:7	21
„იუვენტუსი“	13	18:5	20
„ნაპოლი“	13	15:8	18

შოტლანდია: კვლავ წინაა „სელტიკი“

უაბათს ქვეყნის პირველობის უაღრესად შეუპოვარ მატჩში „აბერდინმა“ შინ ფრედ ითამაშა ჩემპიონთან — გლაზგოს „სელტიკთან“ — 1:1.

5 მატჩი უამინდობის გამო არ შედგა, დანარჩენი თამაშების შედეგები კი ასეთია: „დანდი“ — „ეირდრიონიენსი“ 0:0, „ჰიბერნიენი“ — „სენტ-ჯონსტონი“ 2:5, „კილმარნო�sტ“ — „ჰარტ ოვ მიდლოთიენი“ 1:2, „სენტ-მირენი“ — „ეირ იუნაიტედი“ 3:1.

ლიდერთა სამეული ასეთია:

	თ.	ბ.	ქ.
„სელტიკი“	16	56:19	29
„გლაზგო რეინჯერსი“	15	48:13	24
„აბერდინი“	16	35:21	23

ᲯᲔᲯᲚᲘ ᲧᲐᲜᲔᲑᲘ

● ლენინგრადი, 24 დეკემბერი. მაშში გუნდური საკავშირო ჩემპიონატი გუშინწინ დაწყებულ, მაგრამ გამარჯვებულის ვინაობა გამოირკვა მხოლოდ დღეს, როცა შედგა არმიელ და „ტრუდის“ მოშაშეთა დამატებითი მატჩი (ძირითად შეჯიბრებაში მათ ქულების ერთნაირი რაოდენობა — 34,5 დააგროვეს). გადამწყვეტ შეხვედრაში 5 პარტია ყაიმით დამთავრდა და არმიელებს უპირატესობა მოუტანა მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონის, დიდოსტატ ა. ანდრეიკოს (რიგა) გამარჯვებამ ლენინგრადელ ს. ეგოროვთან. ყოველ გუნდში გამოდიოდა რუსული შაშის 3 ოსტატი, ასეჯრიანი შაშის 2 მოთამაშე და ერთი ქალი. გამარჯვებული გუნდის ღირსებას, ანდრეიკოს გარდა, იცავდნენ მოსკოველები ბ. შკიტკინი, ნ. ამაციევი, ბაქოელი ვ. გაბრიელიანი, ლენინგრადელები ს. მაზინი და ლ. გრიგორიევა.

● ლონდონი, 26 დეკემბერი. სტარტზე კვლავ გამოვიდა IV ოლიმპიური თამაშების (1908 წ.) ჩემპიონი, ინგლისელი ჯო დიკინი. ახალგაზრდა მორბენლებთან ერთად, ამ 87 წლის სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ რიჩმონდ-პარკში გამართულ 8-კილომეტრიან კროსში და დისტანცია დაამთავრა. მან რბენა მაშინაც კი არ შეწყვიტა, როცა ფინიშთან ახლოს, სველ ბილიკზე ფეხი დაუცდა და დაეცა.

● ფხენიანი, 26 დეკემბერი. რუსეთის ფედერაციის მაგიდის ჩოგბურთელთა მეტოქეები კვლავ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდულ გუნდები იყვნენ. ქალთა შორის დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს სტუმრებმა (6:1), ხოლო ვაჟებში მასპინძლებს ხვდათ წარმატება — 5:3. წინა დღით გამართულ პირად ტურნირში ყველას აჯობებს მოსკოველმა ზოია რუდნოვამ და მასპინძელ ვაჟთა „მეორე ჩოგანმა“ პაკ სინ ირმა.

● ლენინგრადი, 26 დეკემბერი. კაგოლოვოს ტრამპლინზე გაიმართა „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრება სეზონის გახსნის პრიზზე. ყველას აჯობა ლენინგრადელმა არმიელმა პ. კოვალენკომ, რომლის ნახტომები უდრიდა 75,5 და 71,5 მეტრს.

● ოსლო, 26 დეკემბერი. წლევანდელ სეზონში ნორვეგიის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია ჰოლმენკოლენის გმირი — მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის ოქროს 3 მედლის მფლობელი, 24 წლის მოთხილამურე გიერმუნდ ეგენი. სხვათა შორის, ფინელმა ჟურნალისტებმა სულ ახლახან მიაკუთვნეს ეგენს სათხილამურო სპორტში 1966 წლის საუკეთესო სპორტსმენის სატიტო წოდება.

● ბუდაპეშტი, 26 დეკემბერი. უნგრეთის 1966 წლის საუკეთესო სპორტსმენებად დასახელეს თანამედროვე ხუთჭიდში სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ანდრაშ ბალცო და მძლეოსანი უუფა საბონე-ნადი, რომელმაც ბუდაპეშტში გამართულ ევროპულ ჩემპიონატში 800 მეტრზე რეკორდი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

● ვინიპეგი (კანადა), 26 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრები გუშინ აქ მესამედ შეხვდა კანადის ეროვნულ გუნდს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:1.

● მოსკოვი, 26 დეკემბერი. გუშინ აქ 30 ათასმა მაყურებელმა იხილა ბურთიან ჰოკეიში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა — სსრ კავშირის ჩემპიონის — სვერდლოვსკის ასკ-სა და ექს-ჩემპიონის — მოსკოვის „დინამოს“ გუნდების კალენდარული მატჩი ქვეყნის პირველობაზე. გათამაშების ლიდერები — სვერდლოვსკელები სასტიკად დამარცხდნენ — 1:5.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

დღეს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქ. № 14) სპორტულ ჟურნალისტთა რესპუბლიკური ფედერაცია აწყობს სსრ კავშირის 34-ე სამედრაკო ჩემპიონატისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციას.

დასაწყისი 12 საათზე.

ᲒᲐᲗᲘ სტიქია ბავშვობიდანვე ყინულოვანი სარბილი იყო. ტაკასი დღეს იაპონიის ჰოკეისტთა ეროვნული გუნდის წევრია, ხოლო ტაკადა — ამომავალი მზის ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოციგურე ქალი. ტაკასიმ და ტაკადამ ერთმანეთი სპორტში გაიცნეს და თავიანთი მომავალი ერთად დაუკავშირეს სპორტს.

ამას წინათ ახალგაზრდების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: ტაკასი და ტაკადა შეუღლდნენ. საქორწინო რიტუალს, რომელიც ტოკიოს ერთ-ერთ უდიდეს სპორტდარბაზში ჩატარდა, ამ სურათზე ხედავთ. აქ ყველაფერი სპორტული ეთიკის სიზუსტითაა დაცული: ნეფე-დედოფალი — ციგურებზე, მოწმეებიც — ციგურებზე... აქვეა „საბრძოლო ფორმით“ აღჭურვილი ჰოკეისტების ნაკრები.

ამ უჩვეულო ქორწილის ტელეგადაცემას მთელი იაპონია ადევნებდა თვალს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 12151